

ქ. ჭიათურა

6 ივნისი 2013წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“ წარმოდგენილი დირექტორის მაკა წერეთლის სახით შემდგომში წოდებული „მოიჯარედ“ და მეორეს მხრივ სსიპ „ჭიათურის აკ. წერეთლის სასკოლოს სახელმწიფო დრამატული თეატრი“, წარმოდგენილი დირექტორის ნანა წერეთლის სახით შემდგომში წოდებული „მეიჯარედ“ ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მეიჯარე“ გადასცემს „მოიჯარეს“ იჯარით თეატრის შენობაში არსებულ ფართს (დარბაზი) ა(ა)იპ „ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებების აღსაზრდელთა გამოსაშვების ღონისძიებების ჩასატარებლად. (CPV კოდი 70310000)

### 2. „მხარეთა“ უფლება-მოვალეობანი

- 2.1. „მოიჯარე“ ვალდებულია იჯარით გადაცემული ქონება გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად
- 2.2. „მოიჯარეს“ უფლება არა აქვს ქონება გასცეს ქვეიჯარით ან ქვექირავნობით, თუკი წინასწარ არ ექნება „მეიჯარის“ წერილობითი ნებართვა.
- 2.3. „მოიჯარე“ ვალდებულია გადაიხადოს საიჯარო ქირა.
- 2.4. „მოიჯარე“ ვალდებულია ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დააბრუნოს იჯარით გაცემული ფართი.
- 2.5. „მეიჯარე“ ვალდებულია გადასცეს „მოიჯარეს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ფართი.
- 2.6. „მოიჯარეს“ უფლება აქვს მოითხოვოს საიჯარო ქირა;
- 2.7. „მეიჯარეს“ უფლება აქვს მოითხოვოს „მოიჯარეს“ რომ მან „მეიჯარის“ თანხმობის გარეშე არ გადასცეს ფართი მესამე პირებს სარგებლობისათვის.
- 2.8. მეიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს „მოიჯარეს“ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დაეალოს საიჯარო ფართი.
- 2.9. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იჯარით გადაცემული ქონების მდგომარეობის გაუარესების ან ასეთი გაუარესების საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში „მეიჯარეს“ უფლება აქვს „მოიჯარეს“ მოსთხოვოს ფართის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ან საფრთხის აღკვეთა, ასევე მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა.

### 3. საიჯარო ქირა

- 3.1. „მოიჯარე“ ვალდებულია გადაუხადოს „მეიჯარეს“ საიჯარო ქირა, უნაღლო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით;
- 3.2. საიჯარო თანხა საიჯარო ფართით სარგებლობისათვის შეადგენს 300 ლარს.

### 3. ფართის გადაცემის და დაბრუნების წესი

- 3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი „მოიჯარეს“ გადაეცემა ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 2 კალენდარული დღისა
- 3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართის გადაცემა სორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით.
- 3.3. ფართის დაბრუნება უნდა მოხდეს მიღება-ჩაბარების აქტით ხელშეკრულების ვადის გავსლიდან 2 დღის ვადაში.

### 4. ხელშეკრულების ვადა, მეცვლა და გაუქმება

- 4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი თვის ვადით.
- 4.2. ხელშეკრულების მოქმედების გასაგრძელებლად აუცილებელია მხარეთა დამატებითი წერილობითი შეთანხმება.
- 4.3. თუ „მოიჯარე“ სარგებლობს ქონებით ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ, ან ქონებას იყენებს არადანიშნულებით, განზრახ ან გაუფრთხილებლობით აუარესებს მის მდგომარეობას „მეიჯარეს“ შეუძლია ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლა, ხელშეკრულების ვადაზე მოშლის შესახებ მან „მოიჯარეს“ უნდა აცნობოს 2 სამუშაო დღით ადრე.

19

